საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: გ. წ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20.03.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №024/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ კ. ბ.-ის/სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ კ. ბ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას 2023 წლის 20 მარტს საჩივრით მომართა გ. წ.-მ და მოითხოვა ადვოკატ კ. ბ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2016-2021 წლებში მოსარჩელეებს - მასსა და ლ. ო.-ს და მოპასუხე ააიპ ს. ე. პ. კ.-ს შორის მიმდინარეობდა სამოქალაქო საქმის წარმოება. მათ უფლებებს იცავდა ადვოკატი კ. ბ.. პირველი სასარჩელო წარმოების ფარგლებში დადგა მათი მხარის სასარგებლო გადაწყვეტილება და ადვოკატთან ჩამოუყალიბდათ მრავალწლიანი კარგი ურთიერთობა. საჩივრის ავტორის განმარტებით, საქმისწარმოების არც ერთ ეტაპზე მას კ. ბ.-ისგარდა, სხვა ადვოკატი არ ჰყოლია და მისი მომსახურებით ყოველთვის იყო კმაყოფილი და მადლიერი.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს სააპელაციო წესით და სააპელაციო სასამართლომ საქმე განსახილველად დააბრუნა პირველი ინსტანციის სასამართლოში. რადგან საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში საჭირო გახდა ორჯერ, ადვოკატმა ამ ეტაპისათვის ისევ მოითხოვა მომსახურების ჰონორარი 1500 აშშ დოლარის ოდენობით, რომელსაც საჩივრის ავტორი იმ ეტაპზე ვერ გადაიხდიდა და ამ დროს მათ ისაუბრეს სხვა ადვოკატის მოძიებაზე, თუმცა საბოლოოდ მას სხვა ადვოკატი არ მოუძიებია, რადგან მას ადვოკატმა კ. ბ.-მ დაურეკა და უთხრა, რომ მასთან მისულიყო ამ საკითხზე სასაუბროდ და შეთანხმდნენ, რომ რადგან მას უკვე ამ საქმეზე გადახდილი ჰქონდა 3000 აშშ დოლარი, ის კიდევ 1500 აშშ დოლარს გადაიხდიდა მთლიანად - პირველი ინსტანციიდან უზენაესი სასამართლოს ჩათვლით, ანუ თითოეული ეტაპისათვის 500-500 აშშ დოლარი. ამ ეტაპზე მას ადვოკატისათვის გადაცემული აქვს 3000 აშშ დოლარს დამატებით 500 აშშ დოლარი. მას შემდეგ რაც საქმე განსახილველად დაბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოში, მათ მეორე შეთანხმება წერილობითი ფორმით აღარ დაუდიათ. საჩივრის ავტორი დამატებით განმარტავს, რომ ადვოკატს თანხა გადასცა ნაღდი ანგარიშსწორებით.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მეორე ეტაპზე საქმის წარმოებისას მოსარჩელეები იყვნენ ორნი: თავად და ლ. ო., თუმცა ადვოკატის მომსახურების საფასურს იხდიდა თავად და სამართალწარმოების თითოეული ეტაპისათვის მას უნდა გადაეხადა 1500 აშშ დოლარი. ის ადვოკატს კეთილსინდისიერად გადასცემდა შეთანხმებულ საზღაურს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებაზე ადვოკატმა კ. ბ.-მ არ მოამზადა სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილ ვადაში და ადვოკატის დაუდევრობით, მათ გაუშვეს ვადა. საჩივრის ავტორის განმარტებით, გადაწყვეტილების გამოცხადების დღეს არ ესწრებოდა ადვოკატი კ. ბ. და წინა დღეს აცნობა, რომ ჰქონდა პროცესი და ვერ დაესწრებოდა გადაწყვეტილების გამოცხადებას, რაზეც ის დათანხმდა. მომჩივანის განმარტებით, ის გადაწყვეტილების გამოცხადებას ბოლომდე არ ესწრებოდა, რადგან როდესაც მოსამართლემ თქვა, რომ „მათი სარჩელი არ დაკმაყოფილდა“ ის აღელდა და სხდომის დარბაზი დაატოვებინეს, შესაბამისად, ის არ ესწრებოდა განმარტებას გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურის შესახებ.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას შემდეგ რაც თბილისის სააპელაციო სასამართლომ საჩივარი განუხილველად დატოვა გასაჩივრების ვადის გასვლის გამო, ადვოკატმა მას მოუმზადა საჩივარი საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარსადგენად, რომელიც გაუგზავნა მას და ლ. ო.-ს და უზენაეს სასამართლოში წარადგინეს მათ. მომჩივანს არ ახსოვს ვინ ჩაიბარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, მის საქმეზე ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის კოდებზე წვდომა ჰქონდა ადვოკატს და ადვოკატს უნდა ეკონტროლებინა ვადა - როდის აისახებოდა გადაწყვეტილება ელექტრონულ გვერდზე. ადვოკატმა მას სასამართლოში წარსადგენად გაატანა განცხადება, რომელიც გაუგზავნა ელ. ფოსტით, რომლითაც ითხოვდნენ გადაწყვეტილების ჩაბარებას. ადვოკატმა განუმარტა, რომ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან უნდა აეთვალათ გასაჩივრების 14 დღიანი ვადა. როდესაც სასამართლომ გადაწყვეტილება ჩააბარა, მან ეს გადაწყვეტილება იმავე დღეს მიუტანა ადვოკატს და ჩააბარა ხელზე. ამ დროს ადვოკატმა დააკონკრეტებინა ის რიცხვი, როდესაც მან ხელზე ჩაიბარა სასამართლოს გადაწყვეტილება. ადვოკატმა გასაჩივრების 14 დღიანი ვადა აითვალა ამ დღიდან, ამ ვადის დაცვით ელ. ფოსტის მეშვეობით კ. ბ.-მ მას გაუგზავნა სააპელაციო საჩივარი - 2021 წლის 30 ივნისს და გ. წ.-მ სასამართლოში შეიტანა 1 ივლისს. რეალურად გასაჩივრების ვადა ამოწურული იყო 30 ივნისამდე. ამ ყველაფერის შემდეგ ადვოკატმა მასთან საუბრისას აღნიშნა,

რომ გასაჩივრების ვადის გასვლა იყო მისი ბრალით გამოწვეული. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატისაგან არ სურს მომსახურების ჰონორარის დაბრუნება ან ბოდიშის მოხდა, ადვოკატის მიმართ კეთილგანწყობილია და მისი საჩივრის მიზანია, რომ ის ადამიანები, ვისზეც დავა ახდენს გავლენას დაარწმუნოს, რომ გასაჩივრების ვადის გასვლა მისგან დამოუკიდებლად მოხდა.

1.7 განხილვის კოლეგიის 2023 წლის 4 სექტემბრის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ არაერთი წლის განმავლობაში, როდესაც ადვოკატი კ. ბ. აწარმოებდა მის საქმეს, ადვოკატს არასოდეს გაუშვია გასაჩივრების ვადა. სადავო შემთხვევაში, გადაწყვეტილების გასაჩივრებისას, ადვოკატმა სატელეფონო კომუნიკაციის დროს ჰკითხა, რომ ზუსტად ეთქვა, თუ როდის ჩაიბარა ხელზე გადაწყვეტილება. მან ადვოკატს გადაწყვეტილების ჩაბარების ზუსტი თარიღი უთხრა და ადვოკატმა ამ თარიღიდან ათვალა 14 დღე. საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატმა ამ შეთხვევაში ვადა სწორად ვერ გამოთვალა.

1.8 საჩივრის ავტორის პოზიციით, 10 წლიანი საადვოკატო ურთიერთობიდან გამომდინარე, ადვოკატს მისთვის მხოლოდ ელ.ფოსტის მეშვეობით არ უნდა მიეწერა, რომ ვერ შეძლებდა საადვოკატო მომსახურების გაგრძელებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა კ. ბ.-მ 2023 წლის 03 აპრილს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი განმარტება და განხილვის კოლეგიის სხდომებზე მიუთითა, რომ ის წარმოადგენდა გ. წ.-ის, ლ. ო.-ს და სხვათა ინტერესებს ააიპ ს. ე. პ. კ-ს. მიმართ აღძრულ დავაზე საქმის განხილვის ორივე ეტაპზე და ასევე, ამავე სუბიექტების მიმართ წარმოებულ შრომის დავებზე 2012 წლიდან 2021 წლის 14 მაისამდე - კერძოდ, საქმეზე N დავაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

2.2 ადვოკატის განმარტებით, დავის წარმოების პირველ ეტაპზე (სამივე ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობა) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 იანვრის განჩინებით საქმე N არ დაკმაყოფილდა ააიპ ს. ე. პ. კ.-ის საკასაციო საჩივარი და კანონიერ ძალაში შევიდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 აპრილის განჩინებით ძალაში დატოვებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე N . თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი ააიპ ს. ე. პ. კ.-ის 07.12.12 წლის რიგგარეშე საერთო კრების N ოქმი, 08.12.12 წლის დადგენილება წევრთა მიღების თაობაზე N, 07.12.12 წლის რიგგარეშე საერთო კრების ოქმი N და წევრთა საერთო კრების 27.12.12 წლის ოქმი.

2.3 ადვოკატის განმარტებით, დავის წარმოების მეორე ეტაპზე, ლ. ო.-მ და გ. წ.-მ სარჩელი აღძრეს ააიპ ს. ე. პ. კ.-ის მიმართ და მოითხოვეს ააიპ ს. ე. პ. კ.-ს გამგეობის 2016 წლის 27 აპრილის N2 კრების ოქმის და ააიპ ს. ე. პ. კ.-ს 2016 წლის 19 მაისის წევრთა რიგგარეშე საერთო კრების ოქმის ბათილად ცნობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 05 ივლისის გადაწყვეტილებით საქმეზე N ლ. ო.-ს, გ. წ.-ის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 2 ივლისის განჩინებით საქმეზე N აპელანტთა მოთხოვნა დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება საქმეზე N და საქმე განსახილველად დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება აპელანტთა მიერ საქმის უკან დაბრუნების ნაწილში გასაჩივრდა

საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელიც უზენაესმა სასამართლომ განუხილველად დატოვა, შესაბამისად, მოსარჩელეთა საქმე განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

2.4 ადვოკატის განმარტებით, აღნიშნულ საქმეთა წარმოების პერიოდში ხშირად იდგა საკითხი ადვოკატის მომსახურების საფასურის გადახდასთან ან მისი გადახდის ვადასთან დაკავშირებით და მხარეთა შორის ჩამოყალიბებული გრძელვადიანი და პოზიტიური ურთიერთობიდან გამომდინარე, მას ხშირად უწევდა მიზერული ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე საქმის წარმოება.

2.5 ადვოკატის განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 2019 წლის 2 ივლისს მიღებული განჩინების შემდეგ მან მხარეს - გ. წ.-ს სთხოვა მოეძიებინა სხვა ადვოკატი, რაზეც მხარემ თანხმობა განუცხადა და განმარტა, რომ ადვოკატს მოიყვანდა პარტიის მხრიდან, რადგან დავის საწარმოებლად პირადად აღარ გააჩნდა მატერიალური რესურსი. თუმცა, მიუხედავად დაპირებისა, გ. წ.-მ არ მოიძია სხვა წარმომადგენელი და ადვოკატი, არსებული ურთიერთობის გამო, იძულებული გახდა უფასოდ შეედგინა საჩივარი საკასაციო ეტაპზე და შემდეგ, მიზერული ანაზღაურების სანაცვლოდ, წარმოედგინა მხარე პირველი ინსტანციის სასამართლოში, რადგან, როგორც გ. წ.-მ განუმარტა, საკასაციო ეტაპზე და შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოებისას მის მიერ შეუძლებელი იყო ახალი ადვოკატის მოძიება, რომელიც ასე ზედმიწევნით იცნობდა საქმეს, ხოლო პარტიას არ გააჩნდა ინტერესი და ფინანსური რესურსი, რომ ეწარმოებინა დავა ააიპ ს. ე. პ. კ.-ის მიმართ.

2.6 ადვოკატი განმარტავს, რომ მხარეს შეუთანხმდა წესზე - საქმისთვის საჭირო ყველა დოკუმენტს სასამართლოში წარადგენდა თავად გ. წ. და საქმის საქალაქო სასამართლოში განხილვის დასრულების შემდეგ ის აღარ გააგრძელებდა აღნიშნულ დავაზე წარმომადგენლობას. გ. წ.-მ კიდევ ერთხელ განუმარტა, რომ ის აუცილებლად უზრუნველყოფდა წარმომადგენლის მოძიებას პარტიის მხრიდან, რომელიც გააგრძელებდა საქმის წარმოებას. ადვოკატი განმარტავს, რომ ამ გარემოებათა გამო მხარეთა შეთანხმებით ის არ ესწრებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 14 მაისის გადაწყვეტილების გამოცხადებას საქმეზე N და როგორც მისთვის ცნობილია, გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდა გ. წ.. ადვოკატის განმარტებით, გ. წ.-ის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგის მოსმენის შემდეგ მოსარჩელეებს, რომელთაგან ერთ-ერთი, გ. წ. იურისტია - მან მისცა სრული სიტყვიერი განმარტება გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურის, მათ შორის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადების შესახებ.

2.7 ადვოკატი განმარტავს, რომ 2021 წლის 14 მაისის შემდეგ ის არ ყოფილა გ. წ.-ისა და ლ. ო.-ს ადვოკატი. მოგვიანებით, გ. წ.-სთან სატელეფონო საუბრისას მისთვის ცნობილი გახდა, რომ მხარის მიერ ვერ იქნა მოძიებული ადვოკატი, რომელიც გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილ ვადაში შეადგენდა სააპელაციო საჩივარს და წარმოადგენდა მხარეს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში. აქედან გამომდინარე, ყოფილი კლიენტის თხოვნით, მან ანაზღაურების გარეშე შეადგინა სააპელაციო საჩივარი, რომელიც სასამართლოში უნდა წარედგინა თავად გ. წ.-ს. ადვოკატის განმარტებით, სააპელაციო საჩივარი 2021 წლის 30 ივნისს გააგზავნა გ. წ.-ისა და ლ. ო.-ს ელ. ფოსტაზე და თან მხარე გააფრთხილა, რომ მოეძიებინა სხვა ადვოკატი. ადვოკატის განმარტებით, სააპელაციო საჩივარს ხელს არ აწერს და აღნიშნულ საქმის წარმოებაზე სრული პასუხისმგებლობა აიღო გ. წ.-მ. ასევე, მისთვის ცნობილია, რომ მეორე კლიენტი - ლ. ო არ მონაწილეობდა საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებში და როგორც მისთვის ცნობილია, მას არ გააჩნდა საქმის წარმოების

გაგრძელების რესურსი და ინტერესი, რაც ასევე დასტურდება სააპელაციო საჩივარზე მისი ხელმოწერის არარსებობით.

2.8 ადვოკატის განმარტებით, გ. წ.-სთან სატელეფონო საუბრის შემდეგ მისთვის ცნობილი გახდა, რომ სასამართლომ სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა გასაჩივრების ვადის გასვლის გამო. როგორც შემდგომ გაირკვა, გ. წ.-მ სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით მიმართა 2021 წლის 17 ივნისს - ნაცვლად გადაწყვეტილების გასაჩივრების ჩაბარების კანონით დადგენილი ვადისა და არასწორად გამოთვალა გასაჩივრების ვადა, შესაბამისად, სასამართლოში სააპელაციო საჩივარი წარადგინა გასაჩივრების ვადის დაუცველად. მან გ. წ.-ს განუმარტა, რომ ვერ შეძლებდა დაეძლია სააპელაციო სასამართლოს მიერ განჩინებით განსაზღვრული საჩივრის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლად მოცემული გარემოებები, თუმცა მხარის დაჟინებული თხოვნით, ადვოკატმა მაინც შეუდგინა კერძო საჩივარი, რომელიც გადასცა გ. წ.-ს.

2.9 ადვოკატი განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქმის წარმოების ყველა ეტაპზე აფორმებდა წერილობით ხელშეკრულებას საადვოკატო მომსახურების შესახებ, აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა გ. წ.-მ არ უზრუნველყო.

2.10 ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნების დროისათვის, მას საქმის მასალები გადაცემული ჰქონდა მხარისათვის და არ გააჩნდა საქმის ელექტრონული კოდები, პირველი ინსტანციის დასრულების შემდეგ, ის მხარეს შეუთანხმდა, რომ მის მომსახურებას არ გააგრძლებდა და ისინი არ შეთანხმებულან, რომ ადვოკატი 1500 აშშ დოლარის სანაცვლოდ აწარმოებდა საქმეს სამი ინსტანციის სასამართლოში. ამის შემდეგ, მისგან მოულოდნელად, ისევ დაუკავშირდა გ. წ. , უთხრა, რომ კვლავ არ ჰყავდა ადვოკატი. ადვოკატის პოზიციით, რადგან წარსადგენი სააპელაციო საჩივარი იყო იმის მსგავსი, რომელიც ერთხელ უკვე წარადგინეს, მან შეცვალა საჩივარი და სააპელაციო საჩივარი გაუგზავნა მხარეს, ამასთან დააზუსტა, სწორად აითვალა თუ არა მხარემ გადაწყვეტილების ჩაბარების წესი, გ. წ.-მ განუმარტა, რომ ამ კუთხით ყველაფერი რიგზე იყო. ადვოკატი განმარტავს, რომ მას გ. წ.-ისაგან მიღებული ინფორმაცია არ გადაუმოწმებია, რადგან მისი ადვოკატი აღარ იყო. ადვოკატი განმარტავს, რომ როდესაც სააპელაციო საჩივარს ამზადებდა, მან არ იცოდა, რომ საჩივრის სასამართლოში წარდგენის საპროცესო ვადა იყო გასული და შესაბამისად, ვადის გაშვება ვერ გახდება მისი პასუხისმგებლობის ნაწილი.

2.11 ადვოკატის განმარტებით, როდესაც მან მხარეს მეილით გაუგზავნა საჩივარი, ამ დროს გასაჩივრების ვადა ფაქტობრივად იყო გასული. თუმცა, როდესაც ის საჩივარს ამზადებდა, ვადებთან დაკავშირებით არ იყო ინფორმირებული, მან მხარესთან დააზუსტა, რომ გ. წ.-მ ყველაფერი ჩაიბარა იმ ფორმით, როგორც ეს უთხრა ადვოკატმა. ამავე დროს, ადვოკატმა განმარტა, რომ ფლობდა ინფორმაციას, რომ გ. წ. ესწრებოდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას.

2.12 2023 წლის 4 სექტემბრის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ პირველ რიგში განსასაზღვრია რა იყო მისი როლი ამ საქმესთან დაკავშირებით. პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების შემდეგ (14 მაისის შემდეგ), ის აღარ წარმოადგენდა გ. წ.-ის ადვოკატს, შესაბამისად, ყველა შემდგომ პროცედურაზე თვალის მიდევნება და კლიენტის წარმომადგენლობა, მას აღარ ევალებოდა. მას არ ჰქონდა საქმის წარმოების ელექტრონული კოდები. როდესაც გ. წ.-მ დაურეკა და აცნობა საქმის შედეგი, მისთვის ეს იყო ბუნებრივი, რადგან მართალი აღარ წარმოადგენდა მის ადვოკატს, თუმცა წლები აწარმოა ეს საქმე და შედეგი მისთვის იყო საინტერესო.

2.13 ადვოკატის განცხადებით, ის იმპერატიულ ნორმას გასაჩივრების ვადის ათვლასთან დაკავშირებით კლიენტს ვერ განუმარტავდა სხვაგვარად - იმისგან განსხვავებულად, როგორც აწარმოებს საქმეებს თავისი მრავალწლიანი საადვოკატო პრაქტიკის განმავლობაში. ადვოკატის განმარტებით, გ. წ.-სთან ურთიერთობაში არის ის პრობლემა, რომ მრავალწლიანი ურთიერთობიდან გამომდინარე, კლიენტი თვლის, რომ კ. ბ. დღესაც მისი ადვოკატია და შესაბამისად ადვოკატს უნდა ედევნებინა თვალყური გადაწყვეტილების ჩაბარებასა და შემდეგ გასაჩივრების პროცედურისთვის, რაც სწორი არ არის.

2.14 ადვოკატის განმარტებით, მას კლიენტმა გადაწყვეტილება გაუგზავნა 17 მაისს, რომელსაც არ ჰქონდა თავფურცელი. მას გ. წ.-ისათვის გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურასთან დაკავშირებით განმარტება ჰქონდა მიცემული, ასევე იცოდა, რომ გ. წ.-ს მიმართული ჰქონდა სასამართლოსათვის გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით - მიუხედავად იმისა რომ არ იყო ადვოკატი მოიკითხა - შეიტანა თუ არა გ. წ.-მ განცხადება სასამართლოში თავის ვადაში - 20-30 დღის შუალედში, გ. წ.-ისაგან მიიღო თანხმობა. შემდეგ იკითხა, როდის ჩაიბარა გადაწყვეტილება და იქედან ათვალა ვადა. ადვოკატი განმარტავს, რომ მას არ უნდა ხსომებოდა გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, რადგან აღარ წარმოადგენდა გ. წ.-ის ადვოკატს და საჩივარი მოამზადა იმ ვადაში, როგორი ინფორმაციაც მიიღო კლიენტისაგან.

2.15 ადვოკატის განმარტებით, ინფორმირების ვალდებულება არ წარმოადგენს ცალკე აღებულ ვალდებულებას, ის როგორც ადვოკატი თუ კლიენტს საქმესთან დაკავშირებით არ მიაწვდიდა ინფორმაციას, შეიძლება ჰქონოდა 2 მიზეზი - ან იყო მიკერძოებული და ამას აკეთებდა განზრახ ან არ ჰქონდა პროფესიული კვალიფიკაცია და კომპეტენცია. ადვოკატი განმარტავს, რომ ის სხვაგვარად არ განმარტავს კანონს, ისე ესმის, როგორც უნდა ესმოდეს. ის როდესაც იყო გ. წ.-ის ადვოკატი, სწევდა ზედამხედველობა ვადებთან დაკავშირებით. ხოლო მას შემდეგ, აღარ წარმოადგენდა გ. წ.-ის ადვოკატს, მხარემ გადაწყვიტა, რომ ამ ყველაფრის გაკეთება თავად შეეძლო და ცხადია, ადვოკატი აღარ უწევდა ზედამხედველობას.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2023 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით ეთიკის კომისიის მეოთხე საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ კ. ბ.-ისმიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, საქმისწარმოების საპროცესო ეტაპზე დადგინდა, რომ ადვოკატმა კ. ბ.-მ უკვე ყოფილ კლიენტს გ. წ.-ს, გაუწია ერთჯერადი სამართლებრივი მომსახურება - კლიენტის მიერ მითითებული ვადების გათვალისწინებით მოუმზადა სააპელაციო საჩივარი და გადასცა იმ ვარაუდით, რომ კლიენტი მას თავად წარადგენდა. ადვოკატს კლიენტისათვის ნათლად არ მიუწოდებია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მისი მომსახურების გაგრძელებას ვერ შეძლება და რამდენადაც მხარემ სწორად ვერ გამოთვალა საჩივრის წარდგენის ზუსტი ვადა, შედეგად, გასაჩივრების შესაძლებლობა ვერ გამოიყენა. შესაბამისად, ადვოკატ კ. ბ.-ისმიერ შესაძლოა დარღვეული იყოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 ადვოკატი კ. ბ. საადვოკატო მომსახურებას უწევდა გ. წ.-ს ააიპ ს. ე. პ. კ.-ს მიმართ დავაში 2012 წლიდან. ვინაიდან გ. წ.-ს ჰქონდა განგრძობადი დავა, თითოეულ სასამართლოს ინსტანციაზე საადვოკატო მომსახურების გაწევისათვის მასსა და ადვოკატ კ. ბ.-ს შორის ფორმდებოდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
მხარეთა წერილობითი და ზეპირი პოზიციები;
2016 წლის 20 ივლისის N მინდობილობა;
2017 წლის 7 ივნისის ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ;
2018 წლის 10 აგვისტოს ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ.

4.1.2 დავის წარმოების პირველ ეტაპზე (სამივე ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობა) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 იანვრის განჩინებით საქმე N არ დაკმაყოფილდა ააიპ ს. ე. პ. კ.-ს საკასაციო საჩივარი და კანონიერ ძალაში შევიდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 აპრილის განჩინებით ძალაში დატოვებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე N . თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი ააიპ ს. ე. პ. კ.-ის 07.12.12 წლის რიგგარეშე საერთო კრების N ოქმი, 08.12.12 წლის დადგენილება წევრთა მიღების თაობაზე N, 07.12.12 წლის რიგგარეშე საერთო კრების ოქმი N და წევრთა საერთო კრების 27.12.12 წლის ოქმი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
მხარეთა წერილობითი და ზეპირი პოზიციები;
განხილვის კოლეგიის 2023 წლის 4 სექტემბრისა და 8 სექტემბრის სხდომის ოქმები.

4.1.3 დავის წარმოების მეორე ეტაპზე, ლ. ო.-მ და გ. წ.-მ სარჩელი აღძრეს ააიპ ს. ე. პ. კ.-ის მიმართ და მოითხოვეს ააიპ ს. ე. პ. კ.-ის გამგეობის 2016 წლის 27 აპრილის N კრების ოქმის და ააიპ ს. ე. პ. კ.-ის 2016 წლის 19 მაისის წევრთა რიგგარეშე საერთო კრების ოქმის ბათილად ცნობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 05 ივლისის გადაწყვეტილებით საქმეზე N ლ. ო.-ს, გ. წ.-ის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 2 ივლისის განჩინებით საქმეზე N აპელანტთა მოთხოვნა დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება საქმეზე N და საქმე განსახილველად დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება აპელანტთა მიერ საქმის უკან დაბრუნების ნაწილში გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელიც უზენაესმა სასამართლომ განუხილველად

დატოვა, შესაბამისად, მოსარჩელეთა საქმე განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
მხარეთა წერილობითი და ზეპირი პოზიციები;
განხილვის კოლეგიის 2023 წლის 4 სექტემბრისა და 8 სექტემბრის სხდომის ოქმები.

4.1.4 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით გ. წ.-ისა და ლ. ო.-ს სარჩელი ააიპ ს. ე. პ. კ.-ის მიმართ არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდა მხოლოდ გ. წ.. მან ადვოკატს შეატყობინა საქმის შედეგი და მიუხედავად იმისა, რომ კ. ბ. მის ადვოკატს არ წარმოადგენდა, მან ყოფილ კლიენტს მისცა კონსულტაცია გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ და სთხოვა წარმომადგენლის მოძიება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
განხილვის კოლეგიის 2023 წლის 4 და 8 სექტემბრის სხდომის ოქმები;

4.1.5 ადვოკატ კ. ბ.-ისმიერ მომზადებული სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოში 2021 წლის 01 ივლისს წარადგინეს გ. წ.-მ და ლ. ო.-მ აპელანტების - გ. წ.-ისა და ლ. ო.-ს სააპელაციო საჩივარი საქმეზე N თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 20 ივლისის განჩინებით დარჩა განუხილველი. გადაწყვეტილების განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დარღვევა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
2021 წლის 01 ივლისის სააპელაციო საჩივარი;
თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 20 ივლისის განჩინება საქმეზე N ;

4.1.6 ადვოკატმა კ. ბ.-მ 2021 წლის 30 ივნისს გ. წ.-ს თავისი ელ. ფოსტის მეშვეობით კლიენტის ელ. ფოსტაზე გაუგზავნა დოკუმენტი დასახელებით „სააპელაციო საჩივარი“ და მიწერა შემდეგი შეტყობინება: *„მოგესალმებით, გაწვდით აპელაციას გთხოვთ გადახედოთ, მოაწეროთ ხელი და შეიტანოთ 2 ეგზემპლარად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში კანცელარიის მეშვეობით ან გადააგზავნოთ ფოსტით ამავე სასამართლოში. ბაჟის სახით გადასახდელია 150 ლარი შემდეგ ანგარიშზე ბანკის კოდი TR*, ა/ნ *** ს/კ*. დამატებით გთხოვთ მოიძიოთ ადვოკატი ამ საქმის წარმართვისთვის, მე არ ვიცი შევძლებ თუ არა ამ საკითხის გაგრძელებას. წარმატებებს გისურვებთ. კ. ბ. , ადვოკატი“.*

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
2021 წლის 30 ივნისის ამონაბეჭდი მხარეთა შორის ელ. ფოსტით განხორციელებული მიმოწერიდან.

4.1.7 მას შემდეგ, რაც სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით დარჩა განუხილველი, ადვოკატმა კ. ბ.-მ, ისევ ანაზღაურების გარეშე და კლიენტთან არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე, მას მოუმზადა კერძო საჩივარი. მხარის 2021 წლის 11 აგვისტოს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
გ. წ.-ის 2021 წლის 11 აგვისტოს კერძო საჩივარი;
საკასაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

4.1.8 ადვოკატის მიერ კლიენტისათვის სააპელაციო საჩივრის გაგზავნის დროს, გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა უკვე გასული იყო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე, რომელიც იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259[1] მუხლის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია. 2021 წლის 14 მაისის გადაწყვეტილების გასაჩივრებას ესწრებოდა გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი - გ. წ.. გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს წარმოადგენდა 14 ივნისი, საიდანაც აითვლებოდა გადაწყვეტილების გასაჩივრების 14 დღიანი ვადა, ანუ გასაჩივრების ვადას წარმოადგენდა 28 ივნისი. აღნიშნული ვადა წარმოადგენდა ვადის მაქსიმუმს. იმ შემთხვევაში, თუ გ. წ. ისარგებლებდა 259[1] მუხლის დანაწესით და სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა ჩაიბარებდა გადაწყვეტილების ასლს, მაქსიმალური ვადა იქნებოდა 18-28 ივნისის პერიოდი. ადვოკატმა სააპელაციო საჩივარი 2021 წლის 30 ივნისს გააგზავნა გ. წ.-ისა და ლ. ო.-ს ელ. ფოსტაზე. გ. წ.-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 14 მაისის გადაწყვეტილების ასლი ჩაიბარა 17 ივნისს (34-ე დღეს) და საჩივარი სასამართლოში წარადგინა 17 ივნისიდან მე-14 დღეს, 1 ივლისს, კანონით გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

2021 წლის 30 ივნისის ამონაბეჭდი მხარეთა შორის ელ. ფოსტით განხორციელებული მიმოწერიდან.

2021 წლის 01 ივლისის სააპელაციო საჩივარი;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 20 ივლისის განჩინება საქმეზე N ;

4.2 სადავო ფაქტები

4.2.1 მხარეთა შორის სადავოა აიღო თუ არა ადვოკატმა კ. ბ.-მ ვალდებულება სააპელაციო წესით გაესაჩივრებინა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება.

მხარეთა შორის თითოეული სასამართლო ეტაპისათვის დამოუკიდებლად ფორმდებოდა შეთანხმება საადვოკატო მომსახურების შესახებ, თუმცა მხარეთა შორის სააპელაციო ეტაპზე არ გაფორმებულა დამოუკიდებელი შეთანხმება და ადვოკატს არ მიუღია მომსახურების ჰონორარი. ადვოკატმა განახორციელა ერთჯერადი მომსახურება - ყოფილ კლიენტს მოუმზადა საჩივარი, მათ შორის არსებული მრავალწლიანი ურთიერთობიდან გამომდინარე, რადგან კლიენტმა არ მოიძია სხვა წარმომადგენელი. მხარეები არ შეთანხმებულან, რომ ადვოკატი კ. ბ. სააპელაციო ეტაპზეც განახორციელებდა საპროცესო წარმომადგენლობას.

კოლეგიამ მხარეთა პოზიციებზე და წარმოდგენილ საქმის მასალებზე დაყრდნობით გამოარკვია, რომ ადვოკატ კ. ბ.-ს არ აუღია ვალდებულება სააპელაციო წესით გაესაჩივრებინა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება. ადვოკატმა კლიენტს გაუწია ერთჯერადი სამართლებრივი მომსახურება - კლიენტის მიერ მითითებული ვადების გათვალისწინებით მოუმზადა სააპელაციო საჩივარი და გადასცა იმ ვარაუდით, რომ კლიენტი მას თავად წარადგენდა სასამართლოში. რამდენადაც მხარემ ვერ გამოთვალა საჩივრის წარდგენის ზუსტი ვადა შედეგად, გასაჩივრების შესაძლებლობა ვერ იქნა გამოყენებული.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
განხილვის კოლეგიის 2023 წლის 4 და 8 სექტემბრის სხდომის ოქმები;

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ კ. ბ.-ისმიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ კ. ბ.-ის მიერ დარღვეულია კლიენტისათვის გასაგები ფორმით საადვოკატო მომსახურების დასრულების შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება.

ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს მისი საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2).

ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის შესახებ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

6.2 კლიენტის ინფორმირება საადვოკატო საქმიანობის ფუნდამენტური ვალდებულებაა. ადვოკატს ევალება კლიენტს მისთვის გასაგები ფორმით შეატყობინოს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა ინფორმაცია. მათ შორის, აუცილებელია კლიენტის ნათლად ინფორმირება იმის შესახებ, რომ ადვოკატი მის ინტერესს აღარ წარმოადგენს. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როდესა მხარეთა შორის არსებობს მრავალწლიანი, განგრძობადი საქმიანი ურთიერთობა.

6.3 ადვოკატი კ. ბ. საადვოკატო მომსახურებას უწევდა გ. წ.-ს ააიპ ს. ე. პ. კ.-თან მიმართ დავაში 2012 წლიდან. კოლეგიამ დაადგინა, რომ საქმის წარმოების მეორე ეტაპზე, გ. წ.-მ 2016 წლის 20 ივლისის N მინდობილობით ადვოკატ კ. ბ.-ს უფლებამოსილება მიანიჭა უვადოდ. კლიენტი წლების განმავლობაში ადვოკატის მომსახურებით იყო კმაყოფილი. ადვოკატმა კ. ბ.-მ 2016-2021 წლებში აწარმოა გ. წ.-ის არაერთი საქმე. 2021 წელს დღის წესრიგში დადგა საკითხი, რომ გ. წ.-ს იურიდიული მომსახურება მიეღო სხვა ადვოკატისაგან, რადგან მხარეები ვერ თანხმდებოდნენ საადვოკატო მომსახურების ჰონორარზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით გ. წ.-ისა და ლ. ო.-ს სარჩელი ააიპ ს. ე. პ. კ.-ს მიმართ არ დაკმაყოფილდა. მიუხედავად იმისა, რომ კ. ბ. საადვოკატო მომსახურებას აღარ უწევდა საჩივრის ავტორს, მან, ადრე არსებული საქმიანი ურთიერთობიდან გამომდინარე, ყოფილ კლიენტს აღნიშნულ საქმეზე ყოველგვარი საზღაურის გარეშე მოუმზადა სააპელაციო

საჩივარი, კლიენტის თხოვნის საფუძველზე - რადგან გ. წ.-მ ვერ შეძლო სხვა ადვოკატის მოძიება. ადვოკატ კ. ბ.-ისშეცნობით, მან საპროცესო დოკუმენტი მოამზადა სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის დაცვით, ვადის შესახებ ადვოკატს ინფორმაცია მიაწოდა კლიენტმა.

6.4 ადვოკატ კ. ბ.-ისმიერ მომზადებული სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოში 2021 წლის 01 ივლისს წარადგინეს გ. წ.-მ და ლ. ო.-მ. აპელანტების - გ. წ.-ისა და ლ. ო.-ს სააპელაციო საჩივარი საქმეზე N თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 20 ივლისის განჩინებით დარჩა განუხილველი. გადაწყვეტილების განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დარღვევა. კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატის მიერ კლიენტისათვის სააპელაციო საჩივრის გაგზავნის დროს, გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა უკვე გასული იყო.

6.5 კოლეგიის შეფასებით, მხარეთა შორის თითოეული სასამართლო ეტაპისათვის დამოუკიდებლად ფორმდებოდა შეთანხმება საადვოკატო მომსახურების შესახებ, თუმცა მხარეთა შორის სააპელაციო ეტაპზე არ გაფორმებულა დამოუკიდებელი შეთანხმება და ადვოკატს არ მიუღია მომსახურების ჰონორარი. ადვოკატმა განახორციელა ერთჯერადი მომსახურება - ყოფილ კლიენტს მოუმზადა საჩივარი, მათ შორის არსებული მრავალწლიანი ურთიერთობიდან გამომდინარე, რადგან კლიენტმა არ მოიძია სხვა წარმომადგენელი. მხარეები არ შეთანხმებულან, რომ ადვოკატი კ. ბ. სააპელაციო ეტაპზეც განახორციელებდა საპროცესო წარმომადგენლობას. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი არ ახორციელებდა გ. წ.-ის წარმოამდგენლობას, მან გამოიჩინა მაღალი პროფესიული პასუხისმგებლობა და დოკუმენტის გაგზავნასთან ერთად, ყოფილ კლიენტს გულდასმით აუხსნა და განუმარტა გადაწყვეტილების ჩაბარებასთან დაკავშირებული შინაარსობრივი და ტექნიკური მხარე. დადგენილი სტანდარტით იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი აიღებს ვალდებულას კლიენტს მოუმზადოს კონკრეტული საპროცესო დოკუმენტი, ის ვალდებულია გამოთვალოს შესაბამისი საპროცესო ვადა. ადვოკატმა კ. ბ.-მ იხელმძღვანელა იმ მოცემულობით, რა ინფორმაციაც მას მიაწოდა კლიენტმა და კლიენტის მიერ მითითებული ინფორმაციის ფარგლებში გამოთვალა საპროცესო ვადა.

6.6 მხარეთა ხანგრძლივი თანამშრომლობის ფარგლებში, ადვოკატმა კ. ბ.-მ კლიენტს გაუწია ერთჯერადი სამართლებრივი მომსახურება - მოუმზადა დოკუმენტი და გაუგზავნა ელ.ფოსტის მეშვეობით. ელ.ფოსტით გაგზავნილ შეტყობინებაში ადვოკატი კლიენტს კიდევ ერთხელ სთხოვს მოიძიოს წარმომადგენელი. კოლეგიას მიაჩნია, რომ საადვოკატო მომსახურება უნდა დასრულდეს მხარისათვის ნათლად და მკაფიოდ, იმ დაშვებით, რომ კლიენტს არ დარჩეს მოლოდინი იმისა, რომ ადვოკატი კვლავ გაუწევს მას წარმომადგენლობას. კოლეგიის შეფასებით, ადვოკატმა კ. ბ.-მ გ. წ.-ს მისთვის გასაგები ფორმით არ მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მის შემდგომ წარმომადგენლობას არ განახორციელებდა, რის გამოც ადვოკატმა დაარღვია კლიენტის ინფორმირების ეთიკური ვალდებულება („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი).

6.7 დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ბრალის ხარისხზე და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის პროპორციულობაზე. ადვოკატს, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში შესაძლოა დაეკისროს დისციპლინური სახდელი (გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა) ან/და ზემოქმედების ღონისძიება -

კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 34).

6.8 „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-15, 01.04.2015).

6.9 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017).

6.10 ეთიკის კომისია ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, ფაქტს, რომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ადვოკატს არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი, ადვოკატის მაღალ პროფესიულ რეპუტაციას და ადგენს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული პროფესიული ვალდებულების დარღვევის პროპორციული დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმა.

6.11 კერძო სარეკომენდაციო ბარათი, რომლის შინაარსი კონფიდენციალურია, შეიცავს რჩევებსა და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის მომავალში თავიდან აცილების მიზნით, რომლის შინაარსი (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 38).

6.12 კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35–ე და 38–ე მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №024/23 ადვოკატ კ. ბ.-ის/სიითი №/ მიმართ დადგინდეს დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/